№2545 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 6 სექტემბრის №1037-Iს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აჭარისწყალი ჯორჯიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 16 აგვისტოს №16/08/02 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისაგან განსხვავებული შემდეგი საპრივატიზებო პირობა:

„ბ) საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) დადგენილი პირობების შესაბამისად გათვალისწინებული შუახევჰესის ჰიდროელექტროსადგურის აშენება და ექსპლუატაციაში მიღება.“.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) „შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №983 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №404401438), საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული შუახევჰესის ჰიდროელექტროსადგურის, ამავე შეთანხმების პირობების შესაბამისად, აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 99 წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, წლიური ანაზღაურებით - 1 (ერთი) ლარი, გადასცეს დანართში მითითებული სახელმწიფო ქონება.“;

ბ) „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 მაისის №773 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული „I სეგმენტის ჰიდროელექტროსადგურების“ (შუახევის და სხალთის ჰიდროელექტროსადგურების), ამავე შეთანხმების პირობების შესაბამისად, აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ზემოაღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული „I სეგმენტის ჰიდროელექტროსადგურების“ (შუახევის და სხალთის ჰიდროელექტროსადგურების) ფუნქციონირების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 99 წლისა, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, წლიური ანაზღაურებით - 1 (ერთი) ლარი, გადასცეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №404401438).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღნაგობის უფლება უქმდება მხოლოდ საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმების (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) მოშლის შემთხვევაში, ამავე შეთანხმებით და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირდაპირი ხელშეკრულებით დადგენილი სათანადო წესების და პროცედურების დაცვით.“;

გ) „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 მაისის №876 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული „I სეგმენტის ჰიდროელექ-ტროსადგურების“ (შუახევის და სხალთის ჰიდროელექტროსადგურების), ამავე შეთანხმების პირობების შესაბამისად, აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ზემოაღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული „I სეგმენტის ჰიდროელექტროსადგურების“ (შუახევის და სხალთის ჰიდროელექტროსადგურების) ფუნქციონირების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 99 წლისა, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, წლიური ანაზღაურებით - 1 (ერთი) ლარი, გადასცეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №404401438).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღნაგობის უფლება უქმდება მხოლოდ საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმების (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) მოშლის შემთხვევაში, ამავე შეთანხმებით და ამ შეთანხმებით, გათვალისწინებული პირდაპირი ხელშეკრულებით დადგენილი სათანადო წესების და პროცედურების დაცვით.“;

დ) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარისწყალი ჯორჯიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 მაისის №875 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) დადგენილი პირობებ-ის შესაბამისად გათვალისწინებული შუახევჰესის ჰიდროელექტროსა-დგურის აშენება და ექსპლუატაციაში მიღება.“.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწი-ნებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**